თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1781275

ნომერი: AR1291445

თარიღი : 06.03.2015

გაცემის თარიღი : 13.03.2015

გაცნობის თარიღი : 16.03.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გულუა , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ქაფიანიძე პ/ნ 01011008250
- ქ. თბილისი, ილ.ჭავჭავაძის გამზირი 49ბ, ოფისი 1

ორგანიზაცია:

- შპს "არქი ჰოთელს" კოდი: 405076563

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ტერიტორიაზე პირველი კლასის სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, გულუას ქუჩა №22-ში, შ.პ.ს. "არქი ჰოთელს"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №001/026) I კლასის სარეკლამო კონსტრუქციის განთავსებას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015039827 02/02/2015წ. საკადასტრო კოდი №01.18.05.001.026, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-კრწანისი, გულუას ქუჩა №22-ში, შ.პ.ს. "არქი ჰოთელს"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №001/026) I კლასის სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების შესაძლებლობას, 1 (ერთი) წლის ვადით 2016 წლის 18 მარტის ჩათვლით.

აქვე გაცნობებთ, რომ სარეკლამო კონსტრუქცია განთავსდეს საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში და უზრუნველყოფილი იქნას მისი კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.